გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №14

5 ნოემბერი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილი.

ესწრებოდნენ: ალ. სირბილაშვილი, გ. ენუქიძე, ხ. ჭონიაშვილი, ვ. ელიზბარაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ლ. გაბიტაშვილი ალ. შანყულაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ივ. ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, ი. ჩიტაშვილი, ზ. მახარობლიშვილი, მ. ძამუკაშვილი, დ. ლიპარტაშვილი, მ. მუღალაშვილი, პ. ჯოხაძე, პ. გველუკაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ვ. მამისაშვილი, ბ. ზირაქაშვილი, ალ. ზირაქაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
ნ. ქაჩლიშვილი – გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

პრესის, ტელევიზიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ნ. ქაჩლიშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგების განხილვა.

/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 სექტემბრის №23 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ნ. ჭაბუკაძე/

5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტარციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ნ. ჭაბუკაძე/

6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ნ. ჭაბუკაძე/

7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №21 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

/ნ. ჭაბუკაძე/

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ნ. ჭაბუკაძე/

9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №20 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი თვითმმართველობის სახანძრო სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

/ნ. ჭაბუკაძე/

10. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ნ. ჭაბუკაძე/

11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის №13 დადგენილების „გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დანართ №2-ში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ვ. მამისაშვილი/

12. დასუფთავების ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ.

/ვ. მამისაშვილი/

13. სხვადასხვა.

ზ. იაგანაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დღის წესრიგს დაემატება კიდევ 3 საკითხი. კერძოდ: 1) გამგეობის კულტურის, განათლების და სოციალური განვითარების სამსახურის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ; 2) საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ; 3) გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე; აქვე დასძინა, რომ გადანაცვლებულ იქნას განსახილველ საკითხთა რიგითობა.

კენჭისყრის შედეგად ერთხმად

დაადგინეს:

სხდომამ იმუშაოს წარმოდგენილი დღის წესრიგით შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით.

მოისმინეს:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ალ. სირბილაშვილმა წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ სახანძრო და სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურების გამგეობის სტრუქტურად ჩამოყალიბების შედეგად, მათი თანამშრომლების სახელფასო სარგოები გაუთანაბრდა გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს, რამაც გამოიწვია ეს ცვლილება.

– ნ. მურაკაშვილმა დასვა შეკითხვა, ხელფასების გაზრდა ხომ არ გამოიწვევს აღნიშნულ სამსახურებში თანამშრომელთა რიცხოვნობის შემცირებას?

– ზ. იაგანაშვილმა შეკითხვაზე მას უპასუხა, რომ სახელფასო სარგოების მომატება არ გახდება თანამშრომელთა გათავისუფლების მიზეზი, რასაც დაეთანხმა გამგებლის მოადგილე, გ. პეტრუზაშვილიც.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

ნ. ქაჩლიშვილმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“. (თან ერთვის).

ხ. ჭონიაშვილმა – ს. ველისციხეში არსებული საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავია ძალიან სავალალო მდგომარეობაში. დაინტერესდა, რამდენადაა გათვალისწინებული ის, ბინათმშენებლობისთვის ამჯერად გამოყოფილ თანხაში.

– გ. პეტრუზაშვილმა უპასუხა მას, რომ აღნიშნული საერთო საცხოვრებელი არაა გათვალისწინებული, მაგრამ დაპირდა, რომ მომავალი წლისთვის იქნება გადაჭრილი ეგ პრობლემა.

აზრი გამოთქვეს:

– გ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ საერთოდ არ მიაჩნია მას სწორად ის, რომ პრივატიზებული საერთო საცხოვრებელი ბინების გადახურვის სამუშაოებს სრულად (100%-ით) აფინანსებდეს მუნიციპალიტეტი. იგი თვლის, რომ მხოლოდ თანადაფინანსება უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

– ე. ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ ს. შაშიანის ამბულატორიის კიბისთვის მოხდეს საჭირო თანხის გამოყოფა ბიუჯეტიდან, რაზეც გ. პეტრუზაშვილმა თანხმობა განაცხადა. აღნიშნა, რომ ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილი თანხიდანაა შესაძლებელი ამ თანხის გამოყოფა.

– ზ. იაგანაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ შეახსენა, რომ გურჯაანს არ ჰქონია 10-მილიონიანი ბიუჯეტი, რაც ახლა იქნა მიღწეული. იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში გაზრდილი იქნება ადგილობრივი შემოსავლების რაოდენობაც, რომელიც ამ დროისთვის შეადგენს დაახლოებით 25%-ს.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ნ. ქაჩლიშვილმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვები კორექტირებული გეგმის პროექტი და აღნიშნა, რომ ეს არის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას თანმდევი საკითხი.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილებები გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

გ. ენუქიძემ სხდომაზე რიგგარეშე დააყენა ქალაქში არსებული, სასმელი წყლის პრობლემის შესახებ საკითხი.

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ნამდვილად პრობლემატურია, რის გამოც საკრებულოს აპარატს მიეცა დავალება, რომ მომავალი სესიისთვის მოწვეულ იქნას შ.პ.ს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გურჯაანის სერვის-ცენტრის ფილიალის მენეჯერი, გელა გოგიაშვილი.

მოისმინეს:

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგების განხილვა.

ნ. ქაჩლიშვილმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ. (ინფორმაცია თან ერთვის).

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, ნ. მურაკაშვილმა მოითხოვა სარეზერვო ფონდის გახარჯვის ანგარიში.

– ნ. ქაჩლიშვილმა მოახსენა, რომ გახარჯულია სულ 45 500 ლარი, საიდანაც კონკრეტულ სამუშაოებზე გახარჯული თანხების ოდენობა დაასახელა და განმარტა. ძირითადად კი ეს იყო ხევების გაწმენდით სამუშაოებსა და სტიქიის დროს, ს. ჭერემში არსებული პრობლემებისას გაუთვალისწინებელი საწვავისა და სხვა ხარჯები.

დაადგინეს:

– ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ (თან ერთვის);

– დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს, გაატარონ სათანადო ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდისთვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების მაქსიმალურად ამოღების ორგანიზებას.

მოისმინეს:

5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 სექტემბრის №23 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ნ. ჭაბუკაძემ წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა დებულების მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში („სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური“).

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 სექტემბრის №23 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტარციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ნ. ჭაბუკაძემ სხდომაზე წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ ეს არის გამგეობაში ახლადშექმნილი სამსახური ნაცვლად გამგეობის აპარტისა.

კენჭი უყარეს.

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების პროექტი წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ნ. ჭაბუკაძემ წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

კენჭისყრის შედგად ერთხმად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება წარმოადგენილი სახით.

მოისმინეს:

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №21 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

ნ. ჭაბუკაძემ წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №21 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

კენჭი უყარეს,

დადგინეს:

ძალადაკარგულად იქნას ცნობილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №21 დადგენილება „გურჯაანის ადგილობრივი სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ნ. ჭაბუკაძემ წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

კენჭი უყარეს, ერთხმად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

10. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №20 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი თვითმმართველობის სახანძრო სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

ნ. ჭაბუკაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №20 დადგენილების „გურჯაანის ადგილობრივი თვითმმართველობის სახანძრო სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების

დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ და აღნიშნა, რომ ეს გამოიწვია აღნიშნული სამსახურის გამგეობის სტრუქტურად ჩამოყალიბებამ.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
ძალადაკარგულად იქნას ცნობილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის №20 დადგენილება „გურჯაანის ადგილობრივი თვითმმართველობის სახანძრო სამსახურის შექმნისა და სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის №13 დადგენილების „გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დანართ №2-ში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, დადგენილების საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნის შედეგად, სამინისტროდან დაბრუნებული შენიშვნების გათვალისწინების გამო, გახდა საჭირო გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის №13 დადგენილების დანართ №2-ში ცვლილებების შეტანა.

ვ. მამისაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო პროექტი.

კენჭის უყარეს,
დაადგინეს:
შეტანილ იქნას ცვლილებები გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 ივლისის №13 დადგენილების დანართ №2-ში.

მოისმინეს:
12. გამგეობის კულტურის, განათლების და სოციალური განვითარების სამსახურის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ.

ნ. ნაცვლიშვილმა წარმოადგინა გურჯაანის კულტურისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2010-2015 წწ) და აღნიშნა, რომ იგი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზოგადოება და თვითმმართველობა კახეთის რეგიონის განვითარებისათვის“ ფარგლებში. აქვე დასძინა მან, რომ სტრატეგიული დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების და სოც. განვითარების სამსახური და არასამთავრობო ორგანიზაცია „მედია ცენტრი კახეთი“.

– ალ. სირბილაშვილი დაინტერესდა გეგმაში ჩამოთვლილ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:
– გ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ პროექტში ბევრ ისეთ საკითხზეა საუბარი, რომელშიც, მიაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ ჩაერევა. ამიტომ მიზანშეწონილად თვლის, ჩაიდოს ის ღონისძიებები, რაც იქნება რეალურად შესრულებადი.
– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტთან დაკავშირებით აქვს ორი შენიშვნა. კერძოდ, კაჭრეთის სკოლა-ინტერნეტია ნახსენები, რომელიც ამოღებულ უნდა იქნას და რევაზ მინდორაშვილი ჭიდაობს არა ძიუდოში, არამედ თავისუფალ ჭიდაობას.

აქვე დასძინა, რომ ეს პროგრამა მისასალმებელია და მიაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა ჩაერთოს ყველა სამსახური, რადგან ეს არის მხოლოდ პროექტი და შენიშვნების არსებობისას, მათი გათვალისწინებით შესაძლებელია ცვლილებების შეტანა.

მ. მამულაშვილმა (პროექტის თანამონაწილე – „მედია ცენტრი კახეთი“) მოახსენა სხდომაზე დამსწრეთ, რომ ეს არ არის პროექტი. ეს არის ხედვა და მისია, რომელიც არის ღია და ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას. ის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, აქტიურად ჩართულია ამ სტრატეგიული გეგმის შექმნაში. აქვე დასძინა, რომ არის იდეა (გამგებელთან შეთანხმებული) მობილური კინოცენტრის შექმნისა, რომელსაც უშუალოდ დაუჭირა მხარი არასამთავრობო ორგანიზაციამ „კავკასიური სახლი“.

– გ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ ეს არის ხუთწლიანი გეგმა და მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, რომ შეიქმნას და წარმოდგენილ იქნას-ხოლმე 1-წლიანი გეგმაც, რომლისაც მოხდეს შემდგომ, შესრულებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

კენჭი უყარეს. ერთხმად

დაადგინეს:

– დამტკიცდეს წარმოდგენილი გურჯაანის კულტურისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა;

– დაევალოს შესაბამის სამსახურს, ახლო მომავალში წარმოადგინოს უახლოესი 1-წლიანი გეგმის პროექტიც.

მოისმინეს:

13. საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ვ. მამისაშვილმა წარმოადგინა პროექტი, რომელშიც შესულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორი ფართობი. კერძოდ, ქ. გურჯაანში, რუსთაველის ქუჩაზე – 5 $მ^2$ და ქ. გურჯაანში, სანაპიროს ქუჩაზე – 8 $მ^2$. ვ. მამისაშვილმა პროექტთან ერთად წარმოადგინა მის ხელთარსებული, თანდართული დოკუმენტაციაც (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი).

აქვე დასძინა, რომ აღნიშნული მიწის ფართობებზე გამოცხადდება აუქციონი, სადაც მონაწილეობის უფლება ექნება ნებისმიერ მოქალაქეს.

აზრი გამოთქვეს:

– მ. ძამუკაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ამის შემდეგ წარმოდგენილ პროექტს თანდაერთოს-ხოლმე ორთოფოტო თუ არა, სიტუაციური გეგმა მაინც.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი საპრივატიხაზიო ნუსხა. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

14. დასუფთავების ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ.

ვ. მამისაშვილმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მდგომარეობის სესახებ“.

აზრი გამოთვეს:

– ლ. გაბიტაშვილმა აღნიშნა, რომ სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაუსაძლისი მდგომარეობაა, განსაკუთრებით მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში. იქნებ, გათვალისწინებულ იქნას ეს და იმ დღეებში მაინც მოხდეს-ხოლმე ამ ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა ნაგვის მანქანით.

– ხ. ჭონიაშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, უკიდერეს შემთხვევაში, იქნებ, აღნიშნულ ტერიტორიაზე, იქნებ, დაიდგას ნაგვის ბუნკერებში.

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უკანონო ნაგავსაყრელებს, რადგან ამაზე უკვე ვრცელდება ადმინისტრაციული ჯარიმა. ყველა სოფელში უნდა იქნას გამონახული ნაგავსაყრელისათვის შესაბამისი ადგილები.

ნაგავსაყრელების პრობლემაზე აღნიშნეს საკრებულოს სხვა წევრებმაც.

– ნ. მურაკაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან სავალალო მდგომარეობაა ქ. გურჯაანში, №2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გვირაბში. საჭიროებს დასუფთავებას. ასევე, მიაჩნია, რომ საჯარო უნდა გახდეს ქალაქის ტერიტორიაზე მომუშავე დამლაგებლების ვინაობა (გვარ-სახელობითი სია) და ვინ რომელ ქუჩაზე.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი.

კენჭისყრის შედეგად ერთხმად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №2 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ხ. ჭონიაშვილმა სხდომის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, გაეკეთებინა ერთი განცხადება. კერძოდ, ისეთ ზოგად პრობლემასთან დაკავშირებით, როგორიცაა ნარკოლოგიური ავადმყოფებისთვის პრევენციული პროგრამის განსახორციელებლად ფიანნსების მოძიება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ წინადადება ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ გადასახედია ბიუჯეტი და შესასწავლია საკითხი, რათა გარკვეულ იქნას, რა თანხებთან იქნება დაკავშირებული.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგანაშვილი**